

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №65

08.09.2020 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დობტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღია, ლევან ჟორჟოლიანი, ერეკლე კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ბექა დავითულიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ზაზა მამალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ნინო რუხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა გაიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დობტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დობტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 24 აგვისტოს №12-032023725-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 2 სექტემბრის №12-032024666-03 წერილი; 2020 წლის 7 სექტემბრის №12-032025191-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 2 სექტემბრის №12-032024668-03 და 2020 წლის 7 სექტემბრის №12-032025188-03 წერილები) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 13 აგვისტოს №12-0320226107-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 4 სექტემბრის №12-032024119-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

6. მიმდინარე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 7 სექტემბრის №12-032025190-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა
მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 24 აგვისტოს №12-032023725-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №20.920.1165 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 8 წინადადება - №01202093345-67, №01202041178-67 (№0120147305-67), №01202161768-67, №01202041189-67, №01202202183-67, №01201842774-67, №01200512846-67, №01202261712-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01202093345-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, კუკიის სასაფლაოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.009.062 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და შიდაკვარტალური ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) გავრცელება.

ტერიტორია ხასიათდება დაბალი ინტენსივობის განაშენიანებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, აღნიშნულ საკადასტრო მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 5 აგვისტოს №18-01202181912 წერილით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული

ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა (ლსზ) და მიდაკვარტალური ფენის მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01202041178-67(№0120147305-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.012.276) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 27 ივლისის №01202092 წერილის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა 2020 წლის 17 ივლისის №16-0120199382 წერილის შესაბამისად.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01202161768-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.22.122) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (სზ) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აგვისტოს №01202202803 წერილით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ფენა.

ამას გარდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა ასევე იმსჯელა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №81.02.22.122 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.01.333, №81.02.98.573, №81.02.99.047, №81.02.98.026, №81.02.01.569, №81.02.22.133, №81.02.22.053) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნის საკითხზე და დააფიქსირა დადებითი პოზიცია (წერილი №18-01202202802 (07.08.2020წ.)).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.22.122, №81.02.01.333, №81.02.98.573,

№81.02.99.047, №81.02.98.026, №81.02.01.569, №81.02.22.133, №81.02.22.053) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა მისაღება.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01202041189-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ლაზოს ქუჩა №29-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.019.581) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიები რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და შიდაკვარტალური გამწვანების ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონის გავრცელება.

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით აღნიშნული მიწის ნაკვეთი ხვდება პერიფერიულ ზონაში (პზ).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 11 აგვისტოს №18-01202243001 წერილით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა და შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანების არელების ფენის მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01202202183-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სვერის ქუჩაზე, I ჩიხში, №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.10.013.011) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.12.10.013.011 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ). აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა ხორციელდება №01.12.10.013.011 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 18 აგვისტოს №18-0120231788 წერილით, სამსახური აფიქსირებს დადებით პოზიციას წარმოდგენილ ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილებასა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სვერის ქუჩაზე, I ჩიხში, №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.10.013.011 და მიმდებარე ტერიტორია) ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (სზ) ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №01201842774-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.008.043) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) გავრცელება.

აღნიშნული ტერიტორია ხასიათდება დაბალი ინტენსივობის შერეული განაშენიანებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით მიხედვით მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 ივლისის №01201903112 წერილით, სამსახური აცხადებს თანხმობას გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის თაობაზე.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - №01200512846-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, პეკინის გამზ. №5-ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.13.031.015; მისამართი: ქალაქი თბილისი, გამსახურდიას ქუჩა №3/7 მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გამზირი გამსახურდია, №3/7) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 9 აგვისტოს №0120222111 წერილის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიას ფაქტობრივი მდგომარეობით არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - №01202261712-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ჭიათურელის ქუჩა №15; დავით აღმაშენებლის ხეივანი №51ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.020.228) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე გაცემულია სავაჭრო ცენტრის მშენებლობის ნებართვა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობა, რაც ითვალისწინებს არსებულ შენობაზე საოფისე და საცხოვრებელი ფუნქციის დამატებას. საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიის საქვეითო ინფრასტრუქტურა ძირითადად დამაკმაყოფილებელია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01202093345-67, №01202041178-67 (№0120147305-67), №01202161768-67, №01202041189-67, №01202202183-67, №01201842774-67, №01200512846-67, №01202261712-67 განცხადებასთან (სულ: 8 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 24 აგვისტოს №12-032023725-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 8 წინადადება - №01202093345-67, №01202041178-67 (№0120147305-67), №01202161768-67, №01202041189-67, №01202202183-67, №01201842774-67, №01200512846-67, №01202261712-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვეტიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 24 აგვისტოს №12-032023725-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 8 წინადადება - №01202093345-67,

№01202041178-67 (№0120147305-67), №01202161768-67, №01202041189-67, №01202202183-67, №01201842774-67, №01200512846-67, №01202261712-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 2 სექტემბრის №12-032024666-03 წერილი; 2020 წლის 7 სექტემბრის №12-032025191-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს №20.977.1219 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01201672880-67, №01202202668-67(№0120204132-67)).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01201672880-67 **განცხადებით**, ქალაქ თბილისში, გლდანის I მ/რაიონსა და მუხიანის I მ/რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.071 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტოვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 თებერვლის №01/90 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების

პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს №203 განკარგულება ადგენს ფუნქციური ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის I მ/რაიონსა და მუხიანის I მ/რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.071 და მიმდებარე ტერიტორია) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01202202668-67(№0120204132-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №12ა-ე, №14ა-ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 12-14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბერს №269 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №153 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №12ა-ე, №14ა-ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01201672880-67 და №01202202668-67(№0120204132-67) განცხადებასთან (სულ: 2 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 2 სექტემბრის №12-032024666-03 და 2020 წლის 7 სექტემბრის №12-032025191-03 წერილებით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01201672880-67, №01202202668-67(№0120204132-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვეტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 2 სექტემბრის №12-032024666-03 და 2020 წლის 7 სექტემბრის №12-032025191-03 წერილებით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01201672880-67, №01202202668-67(№0120204132-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 2 სექტემბრის №12-032024668-03 და 2020 წლის 7 სექტემბრის №12-032025188-03 წერილები)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 აგვისტოს №20.965.1215 განკარგულებით, ასევე, 2020 წლის 4 სექტემბრის №20.1012.1259 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგემაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის

(პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 14 წინადადება - №01202303310-67, №0120151219-67(№0120151220-67), №01201883013-67(01201573157-67), №01201832774-67(№01201782256-67), №01202201612-67, №01201131532-67, №01202042181-67, №01200132482-67, №01202182086-67, №01202172138-67, №01202233397-67, №01200124-67, №01202172786-67, №01202061698-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01202303310-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სლავა მეტრეველის ქუჩა №9-ში, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა №1ა-სა და №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.07.019.034, №01.13.07.019.023, №01.13.07.019.033) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 19 აგვისტოს №18-012023211757 წერილით, სამსახური თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა შემდეგი პირობით: წარმოდგენილი საკადასტრო ერთეულების სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში შენარჩუნებული უნდა იქნას ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სლავა მეტრეველის ქუჩა №9-ში, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა №1ა-სა და №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.07.019.034, №01.13.07.019.023, №01.13.07.019.033) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია, საკადასტრო ერთეულებზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნების პირობით და განცხადებაში მითითებული მშენებლობის მოცულობის ფარგლებში.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №0120151219-67(№0120151220-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა №8-ში და ქალაქ თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.11.05.033.105 და №01.11.05.033.088) ნაწილზე მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.11.05.033.105 და №01.11.05.033.088 საკადასტრო ერთეულებზე და მათ შორის არსებულ სივრცეზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აღნიშნული მიწის ნაკვეთების მომიჯნავე საკადასტრო ერთეულები ასევე ხდებდა საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) მოქმედების არეალში. აქედან გამომდინარე, №01.11.05.033.105 და №01.11.05.033.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სტატუსის დაბრუნება არ გამოიწვევს ერთიანი კონფიგურაციის დარღვევას და აღნიშნული მიწის ნაკვეთებიც ერთიანი ფუნქციური ზონის ქვეშ მოექცევა.

გარდა ამისა, აღნიშნული ცვლილების შემდეგ, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე რჩება ხარვეზი, რის გამოც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.11.05.033.105 და №01.11.05.033.088 საკადასტრო ერთეულებს შორის დარჩენილ სივრცეზე ხდება ფუნქციური ზონის ცვლილება ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გთვალისწინებით, ქალაქ თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა №8-ში და ქალაქ თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.11.05.033.105 და №01.11.05.033.088) ნაწილზე და მათ შორის არსებულ სივრცეზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01201883013-67 (01201573157-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.38.159, №81.02.38.158 და №81.02.38.170) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა და მასზე ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება.

მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ნაწილობრივ განაშენიანებულ არეალს, სადაც ფიქსირდება დაბალი ინტენსივობის განაშენიანება (ძირითადად, საცხოვრებელი სახლები). ტერიტორია უზრუნველყოფილია შესაბამისი მისასვლელი გზით (საზოგადოებრივი სივრცით).

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 24 აფგვისტოს №18-01202372165 წერილით, სმასახური თანახმად, მოთხოვნილ საკადასტრო ერთეულებზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიები რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლოს იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ცვლილება უნდა განხორციელდეს მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.38.159, №81.02.38.158, №81.02.38.170 და მიმდებარე ტერიტორიაზე) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა და მასზე ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01201832774-67(01201782256-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდი დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.044.454 და №01.72.14.044.897) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა.

ვინაიდან, არსებული მდგომარეობით, მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) ქვეზონის დაზუსტება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2).

სხდომაზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აგვისტოს №18-01202202822 წერილის თანახმად, №01.72.14.043.781, №01.72.14.044.454 და №01.72.14.044.897 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ფუნქციური ზონის, კერძოდ, ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) და სატყეო ზონის ფენების მოხსნის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 26 აგვისტოს (№20.965.1215 განკარგულება) და ასევე, 2020 წლის 4 სექტემბრის (№20.1012.1259 განკარგულება) სხდომებზეც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 აგვისტოს №20.965.1215 განაკრულებაში (დადგენილებითი ნაწილის „დ“ პუნქტი, გადაწყვეტილებითი ნაწილის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) და ასევე, 2020 წლის 4 სექტემბრის №20.1012.1259 განკარგულებაში (გადაწყვეტილებითი ნაწილის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები) გამორჩენილია

სატყეო ზონის შესაბამისი ფუნქციური ზონით ცვლილების საკითხი, რაც ტექნიკური ხასიათის შეცდომაა.

კომისიის წევრებმა წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია ცნობად მიიღეს და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, დიდ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.044.454, №01.72.14.044.897 და მიმდებარე ტერიტორიაზე) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) და სატყეო ზონის ფენების მოხსნა მისაღებად ცნეს.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01202201612-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის მე-2, მე-3, მე-4 მიკრორაიონების მიმდებარედ (ინტენსიფიკაციის გზის ზევიტ) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.424) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 12 აგვისტოს №18-0120225525 წერილის თანახმად, სამსახური დადებით შეფასებას აძლევს ფუნქციური ზონის ცვლილებას.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №01201131532-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (№01.72.14.034.970 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება გზის მოწყობის მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ შეითანხმა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და მასზე დაყრდნობით 2020 წლის 27 აპრილის №16-01201181057 წერილის შესაბამისად, დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოთხოვნილი ცვლილების მიზანი წარმოადგენს მიზანშეწონილ ნაბიჯს.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - №01202042181-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქ. №25, №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.13.004, №81.01.13.005) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალი ხასიათდება დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი განაშენიანებით. უმეტესად წარმოდგენილია საცხოვრებელი სახლები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აგვისტოს №18-01202202924 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმად განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - №01200132482-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.088.052) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აგვისტოს №18-01202202812 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმად, №01.20.01.088.052 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ნაწილზე (550 კვ.მ.) განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება.

აღნიშნული ცვლილების შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე რჩება ხარვეზი, რის გამოც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.20.01.088.052 და №01.20.01.088.050 საკადასტრო მიწის ნაკვეთებს შორის დარჩენილ სივრცეზე, ხარვეზის გასწორების მიზნით, მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.088.052) ნაწილზე და მის მიმდებარედ არსებულ სივრცეზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - №01202182086-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, მოწის ქუჩა №4; ქალაქ თბილისში, მოწის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.01.009.045) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების

რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის და არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

№01202182086-67 განცხადებით წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაციის სახით აღინიშნა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 აგვისტოს №20.955.1215 განკარგულებაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე შეტანილ იქნა ცვლილება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 7 სექტემბრის №20.1014.1289 განკარგულება), რომლის საფუძველზეც დაზუსტდა №01202182086-67 განცხადებით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების მოთხოვნა. კერძოდ:

№01202182086-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, მოწის ქუჩა №4; ქალაქ თბილისში, მოწის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.01.009.045) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის და არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აგვისტოს №18-01202202930 წერილით, სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

